ჭეშმარიტად, ალლაჰი არ სჯის ჩემი თემის წევრებს იმ [ცოდვების] გამო, რაც მათი სული უჩურჩულებს მათ, სანამ ისინი არ ჩაიდენენ ან არ იტყვიან იმას, რისკენაც ის უბიძგებს მათ

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ალლაჰი არ სჯის ჩემი თემის წევრებს იმ [ცოდვების] გამო, რაც მათი სული უჩურჩულებს მათ, სანამ ისინი არ ჩაიდენენ ან არ იტყვიან იმას, რისკენაც ის უბიძგებს მათ».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყებს, რომ მუსლიმი არ დაისჯება გულში გაჩენილი ცუდი ფიქრების გამო, თუ მათ არ განახორციელებს ან არ წარმოთქვამს სიტყვებით. ალლაჰმა მოხსნა ეს სირთულე და აპატია, და არ დასჯის მუჰამედის უმმათს იმაზე, რაც უბრალოდ გაიფიქრა ან გულში გაივლო, თუ ეს არ დამკვიდრდა და არ მოიპოვა სიმშვიდე მის გულში. თუმცა, თუ გულში დამკვიდრდა, მაგალითად, ქედმაღლობა, ამპარტავნება ან ფარისევლობა, ან თუ მან იმოქმედა თავისი კიდურებით ან თქვა ეს სიტყვებით, მაშინ იგი დაისჯება ამის გამო.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/58144

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee